



დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „ინსტა“ მენეჯმენტისთვის

(საიდენტიფიკაციო კოდი N202057264)

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი

2018 წლის 15 დეკემბერი

შინაარსი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე...	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4
ანგარიში -----	6
1. შესავალი (ზოგადი მიმოხილვა) -----	6
2. შპს-ის „ინსტა“ მონაცემები -----	6
3. საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება) -----	7
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი -	8
5. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი -----	10
6. კაპიტალის ცვლილებების ანალიზი -----	11
7. მმართველობითი ანგარიში -----	12
8. განმარტებითი შენიშვნები -----	14

შპს-ის „ინსტა“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბრისთვის

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებაში, ერთმანეთისაგან განასხვავოს შპს-ის „ინსტა“ მენეჯმენტისა და დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობები.

შესამოწმებელ პერიოდში, მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- H ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- H მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- H მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- H მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- H შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- H ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- H გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- H აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

/გიორგი ბახსოლიანი/

შპს-ის „ინსტა“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბრისთვის

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებაში, ერთმანეთისაგან განასხვავოს შპს-ის „ინსტა“ მენეჯმენტისა და დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობები.

შესამოწმებელ პერიოდში, მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი



/გიორგი ბახსოლიანი/

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს-ის „ინსტა“ (საიდენტიფიკაციო კოდი N202057264) 2017 წლის ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებაზე

შპს-ს „ს.ბ. ფინანსსერვისი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-732699) აუდიტორმა ბექა ჯაყელმა (სარეგისტრაციო N: SARAS-A-261871) 2018 წლის 21 ნოემბრის N21/11/18 ხელშეკრულების საფუძველზე ჩაატარა შპს-ის „ინსტა“, 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. ჩატარებული აუდიტის ანგარიშგება მოიცავს: საწარმოს ფინანსურ მდგომარეობის (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), მისი საქმიანობის შედეგების (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობისა, კაპიტალში ცვლილებებისა და მმართველობითი ანგარიშგების ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, რაც მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და მონიტორინგს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის მომზადებას და წარდგენას, არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას; და გონივრული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

დასკვნის შედგენის საფუძვლები

აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჩემი პასუხისმგებლობა აღწერილია მოცემულ ანგარიშის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა“. „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ (IESBA) თანახმად, მე დამოუკიდებელი ვარ „კომპანიისგან“, მკაცრად ვიცავ აღნიშნული კოდექსის (IESBA) სხვა ეთიკურ ნორმებს და მიმაჩნია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები დასკვნისთვის საკმარის საფუძვლებს წარმოადგენს. მინდა აღვნიშნო, რომ როგორც ფინანსური ანგარიშგების, ასევე, მმართველობითი ანგარიშგების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებისას, სრულად იქნა გაანალიზებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩემი პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩემს მიერ, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, გამოვთქვა მოსაზრება ფინანსურ ინფორმაციასა და მმართველობით ანგარიშზე. აუდიტს წარვმართავდი საერთაშორისო

სტანდარტების შესაბამისად, რაც თავის მხრივ მოითხოვს დავიცვა ეთიკის ნორმები, იმგვარად დავგეგმო და ჩავატარო აუდიტი, რომ მივიღო დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, შეიცავს თუ არა კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს-ის „ინსტა“ ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს-ის „ინსტა“ მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სრულად შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

სერტიფიცირებული აუდიტორი

(სარეგისტრაციო N: SARAS-A-261871)

/ზექა ჯაყელი/

სტანდარტების შესაბამისად, რაც თავის მხრივ მოითხოვს დავიცვა ეთიკის ნორმები, იმგვარად დავგეგმო და ჩავატარო აუდიტი, რომ მივიღო დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, შეიცავს თუ არა კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს-ის „ინსტა“ ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს-ის „ინსტა“ მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სრულად შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

სერტიფიცირებული აუდიტორი

(სარეგისტრაციო N: SARAS-A-261871)



/ზექა ჯაყელი/

ანგარიში

შპს-ის „ინსტა“ 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობის შესახებ.

შესავალი

შპს-მ „ს.ბ. ფინანსსერვისი“ 2018 წლის 21 ნოემბრის N21/11/18 ხელშეკრულების საფუძველზე ჩაატარა შპს-ის „ინსტა“ 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტორული შემოწმება.

აუდიტორული შემოწმებისათვის წარმოდგენილი საბუღალტრო და საფინანსო დოკუმენტების უტყუარობასა და სისრულეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შპს-ის „ინსტა“ ხელმძღვანელობას, ხოლო აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ დასკვნაზე პასუხისმგებელია აუდიტორული ფირმა.

აუდიტი ჩატარდა საზოგადოდ მიღებული აუდიტორული სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას საკმარისად საფუძვლიანი დასაბუთების მოპოვების მიზნით, რაც არსებითი ხასიათის დამახინჯების შესახებ მსჯელობის საშუალებას მოგვცემდა.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით, ჩვენ მოვიპოვეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მაჩვენებლების შესახებ მტკიცებულებები. სამუშაოს დასრულების შემდგომ, შპს-ის „ინსტა“ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ და მოვამზადეთ წინამდებარე ინფორმაციული ანგარიში.

შპს-ის „ინსტა“ მონაცემები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინსტა“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 1998 წლის 9 თებერვლიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 202057264;

მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაქარიაძის ქ. №8.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი – გიორგი ბახსოლიანი (პნ 01009000867) საქართველო.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორია:

გიორგი ბახსოლიანი 100% წილი.

შპს „ინსტა“ (საიდენტიფიკაციო N202057264) საზოგადოების საქმიანობის შედეგები

	საანგარიშო პერიოდი 2017 წელი	საანგარიშო პერიოდი 2016 წელი
ამონაგები	19,219,878.86	15,078,226.90
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10,892,371.59)	(10,053,893.71)
პერსონალის ხარჯები	(1,452,054.94)	(1,149,117.73)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(30,205.82)	(11,422.93)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(8,400.00)	
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(58,818.85)	(56,273.84)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(113,730.09)	(57,003.62)
იჯარის ხარჯი	(2,600.00)	(4,075.00)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(39,986.28)	(38,217.82)
ცვეთა და ამორტიზაცია	(407,697.82)	(334,009.93)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(259,014.16)	(251,907.03)
საოპერაციო მოგება	5,954,999.31	3,122,305.29
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
სავაჭრო მოთხოვნებზე		(26.58)
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე	8.47	(6,972.61)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალური ღირებულებით მოგება(ზარალში) ასახვით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან	33,058.34	59,209.35
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	601.65	17,858.20
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	(129,891.41)	160,309.20
სხვა ფინანსური შემოსავალი	8,950.04	-
სხვა ფინანსური ხარჯი	(25,742.78)	(17,383.19)
მოგება(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	5,841,983.62	3,335,299.66
მოგების გადასახადი		500,294.95
მოგება(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	5,841,983.62	2,835,004.71
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება(ზარალი)	5,841,983.62	2,835,004.71

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

/გიორგი ბახსოლიანი/

მთავარი ბუღალტერი

/კობა ქაფიანიძე/

შპს „ინსტა“ (საიდენტიფიკაციო N202057264) საზოგადოების საქმიანობის შედეგები

	საანგარიშო პერიოდი 2017 წელი	საანგარიშო პერიოდი 2016 წელი
ამონაგები	19,219,878.86	15,078,226.90
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10,892,371.59)	(10,053,893.71)
პერსონალის ხარჯები	(1,452,054.94)	(1,149,117.73)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(30,205.82)	(11,422.93)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(8,400.00)	
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(58,818.85)	(56,273.84)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(113,730.09)	(57,003.62)
ოჯარის ხარჯი	(2,600.00)	(4,075.00)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(39,986.28)	(38,217.82)
ცვეთა და ამორტიზაცია	(407,697.82)	(334,009.93)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(259,014.16)	(251,907.03)
საოპერაციო მოგება	5,954,999.31	3,122,305.29
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
სავაჭრო მოთხოვნებზე		(26.58)
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე	8.47	(6,972.61)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალური ღირებულებით მოგება(ზარალში) ასახვით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან	33,058.34	59,209.35
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	601.65	17,858.20
წმინდა მოგება(ზარალი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და გადაფასებიდან	(129,891.41)	160,309.20
სხვა ფინანსური შემოსავალი	8,950.04	-
სხვა ფინანსური ხარჯი	(25,742.78)	(17,383.19)
მოგება(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯებზე განგრძობითი ოპერაციებიდან	5,841,983.62	3,335,299.66
მოგების გადასახადი		500,294.95
მოგება(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	5,841,983.62	2,835,004.71
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება(ზარალი)	5,841,983.62	2,835,004.71

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/გიორგი ბახსოლიანი/

/კობა ქაფიანიძე/

შპს „ინსტა“ (საიდენტიფიკაციო N202057264) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი)

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2017 წ.)	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2016 წ.)	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი (01.01.2016 წ.)
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	411,314.83	529,887.33	665,897.49
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები			
მოთხოვნები ზანკების მიმართ			
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები			
წარმოებული ფინანსური აქტივები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანს/ აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გადახდილი ავანსები	824,335.38	411,962.61	766,586.62
გაცემული სესხები			
სესხების გაუფასურების ანარიცხი			
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9,131,958.72	6,376,726.32	6,441,925.87
გრძელვადიანი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები			
სავაჭრო მოთხოვნები	3,600,816.87	2,878,591.84	1,609,404.70
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები			
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები			
დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები			
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან			
საინვესტიციო ქონება	757,133.50	757,133.50	757,133.50
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
სხვა მიმდინარე აქტივები			
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი			
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი			40,886.90
სხვა საგადასახადო აქტივი	272,876.82		
ბიოლოგიური აქტივები			
სხვა მიმდინარე აქტივები			5,763.41
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	79,422.79	73,634.41	96,922.34
ძირითადი საშუალებები	5,179,782.46	5,181,944.83	4,748,139.98
გასაყიდად გამოჩნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები			
სულ აქტივები	20,257,641.37	16,209,880.84	15,132,660.81

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2017 წ.)	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2016 წ.)	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი (01.01.2016 წ.)
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	505,622.26	636,491.07	914,251.55
სხვა ფინანსური ვალდებულებები	223,157.85	96,842.07	101,052.61
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება			
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	16,058.08	16,058.08	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	460,248.09	864,394.49	1,659,911.58
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			120,000.00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		185,523.66	161,878.28
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები			
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები			
მიღებული გრანტები			
სუბორდინირებული სესხი			
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	1,205,086.28	1,799,309.37	2,957,094.02
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000.00	2,000.00	2,000.00
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
წილობრივი გადახდის რეზერვი			
რეალიზებული ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	7,830.00	7,830.00	7,830.00
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	19,042,725.09	14,400,741.47	12,165,736.79
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	19,052,555.09	14,410,571.47	12,175,566.79
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20,257,641.37	16,209,880.84	15,132,660.81

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

/გიორგი ბახსოლიანი/

მთავარი ბუღალტერი

/კობა ქაფიანიძე/

9 შპს „ს.ბ. ფინანს-სერვისი“ საიდენტიფიკაციო - 202453308; საბუროთალო, მიცვეიზის 29/29, ტელეფონი: 599 75-07-00; email: sbfinanceservice@hotmail.com;

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2017 წ.)	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2016 წ.)	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი (01.01.2016 წ.)
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	505,622.26	636,491.07	914,251.55
სხვა ფინანსური ვალდებულებები	223,157.85	96,842.07	101,052.61
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება			
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	16,058.08	16,058.08	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	460,248.09	864,394.49	1,659,911.58
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			120,000.00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		185,523.66	161,878.28
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრეკლოები			
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები			
მიღებული გრანტები			
სუბორდინირებული სესხი			
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	1,205,086.28	1,799,309.37	2,957,094.02
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერაციის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000.00	2,000.00	2,000.00
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
წილობრივი გადახდის რეზერვი			
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	7,830.00	7,830.00	7,830.00
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	19,042,725.09	14,400,741.47	12,165,736.79
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	19,052,555.09	14,410,571.47	12,175,566.79
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20,257,641.37	16,209,880.84	15,132,660.81

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი



გიორგი ბახსოლიანი/

მთავარი ბუღალტერი

ვოზა ქაფიანიძე/

„ინსტა“ (საიდენტიფიკაციო N202057264)

ფულადი ნაკადების მოძრაობა ანალიზი

	საანგარიშგებო პერიოდი 2017 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2016 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	11,136,732.83	692,652.06
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(9,581,478.58)	(97,671.41)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,529,336.52)	(699,639.62)
სავალუტო კურსის ეფექტი	(144,490.23)	(31,351.19)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(118,572.50)	(136,010.16)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	529,887.33	665,897.49
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	411,314.83	529,887.33

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

/გიორგი ბახსოლიანი/

მთავარი ბუღალტერი

/კობა ქაფიანიძე/

„ინსტა“ (საიდენტიფიკაციო N202057264)

ფულადი ნაკადების მოძრაობა ანალიზი

	საანგარიშგებო პერიოდი 2017 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2016 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	11,136,732.83	692,652.06
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(9,581,478.58)	(97,671.41)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,529,336.52)	(699,639.62)
სავალუტო კურსის ეფექტი	(144,490.23)	(31,351.19)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(118,572.50)	(136,010.16)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	529,887.33	665,897.49
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	411,314.83	529,887.33

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/გიორგი ბახსოლიანი/

/კობა ქაფიანიძე/

შპს „ინსტა“

(საიდენტიფიკაციო N202057264)

კაპიტალში ცვლილებების ანალიზი

	კაპიტალი	ძირითადი საშუაღ.გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	2000	7830	12165736,79	0	12175566,79
მოგება / (ზარალი)			3335299,66		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)					
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			3335299,66		3335299,66
დივიდენდის გამოცხადება			-600000		-600000
სხვა			-500294,98		-500294,98
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2000	7830	14400741,47		14410571,47
მოგება / (ზარალი)			5841983,62		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)					
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			5841983,62		5841983,62
დივიდენდის გამოცხადება			- 1200000		- 1200000
სხვა					
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2000	7830	19042725,09		19052555,09

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

/გიორგი ბახსოლიანი/

მთავარი ბუღალტერი

/კობა ქაფიანიძე/

შპს „ინსტა“

(საიდენტიფიკაციო N202057264)

კაპიტალში ცვლილებების ანალიზი

	კაპიტალი	ძირითადი საშუალო გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	2000	7830	12165736,79	0	12175566,79
მოგება / (ზარალი)			3335299,66		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)					
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)			3335299,66		3335299,66
დივიდენდის გამოცხადება			-600000		-600000
სხვა			-500294,98		-500294,98
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2000	7830	14400741,47		14410571,47
მოგება / (ზარალი)			5841983,62		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)					
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)			5841983,62		5841983,62
დივიდენდის გამოცხადება			- 1200000		- 1200000
სხვა					
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2000	7830	19042725,09		19052555,09

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი






გიორგი ბახსოლიანი/

კობა ქაფიანიძე/

შპს „ინსტა“

(საიდენტიფიკაციო N202057264)

მმართველობითი ანგარიში

1. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ელექტრო სამუშაოების დაპროექტება-შესრულება და ელექტრო სამონტაჟო მასალებით ვაჭრობა.

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

2.1. კომპანია დაფუძნებულია 1998 წლის თებერვალში, 2 ფიზიკური პირის მონაწილეობით (გ.ბ.-50%, ვ.მ.-50%). საანგარიშო პერიოდში 100 % წილის მფლობელია გიორგი ბახსოლიანი (პ/ნ 01009000867).

2.2. საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- საპროექტო სამსახური
- პროექტების მართვის სამსახური
- სუსტი დენების განყოფილება
- მართვის სისტემების განყოფილება
- გაყიდვების განყოფილება
- ლოჯისტიკის და შესყიდვების განყოფილება
- ელ. ფარების საწარმო
- უსაფრთხოების და ხარისხის განყოფილებები
- საფინანსო განყოფილება

3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

ინსტას საქმიანობა დამოკიდებულია დიდ წილად საქართველოს სამშენებლო სფეროზე. ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილი ინვესტიციები და ტურიზმის სწრაფი ზრდა და მასთან დაკავშირებული სასტუმროების მშენებლობები დადებითად აისახა კომპანიაზე.

რისკის ფაქტორებია მერყევი სავალუტო კურსი, ასევე პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ადგილობრივ ბაზარზე. რისკის ფაქტორს წარმოადგენს სამშენებლო მასალების და შესრულებული სამუშაოების ნორმატივების და სტანდარტების არ ქონა ან არასათანადო შემოწმების მექანიზმები, რის გამოც ხშირად არა თანაბარი კონკურენციის პირობები იქმნება კომპანიებს შორის.

4. პროდუქციის ხარისხი:

ინსტას ძირითადი პროცესები სერტიფიცირებულია ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის მიხედვით, გერმანული საერთაშორისო კომპანია TÜV Süd-ის მიერ. ამ სისტემის ფარგლებში ყოველწლიურად უტარდება მინიმუმ ერთი შიდა და ერთი გარე აუდიტი.

ძირითადი მასალები და კომპონენტები წარმოებულია ისეთი წამყვანი ევროპული კომპანიების მიერ, როგორებიც არიან სიმენს, ლაპ კაბელ, ფესტო, ეატონ და ა.შ.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

კომპანია წლიურად ატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას, რის მიხედვითაც ცდილობს არსებული პრობლემები დაძლიოს და სამუშაო პირობები მუდამ გააუმჯობესოს.

6. სოციალური პროექტები:

6.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ უკანასკნელ სამ წელიწადში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 13 %-ით გაიზარდა, რაც თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მაჩვენებლების დასახელება	2017 წ	2016 წ
დასაქმებულთა საშ. წლიური საერთო რაოდენობა	112	99
მ.შ. ქალები	13	14

კომპანია ასევე პერიოდულად ეხმარება სხვა და სხვა საქველმოქმედო ფონდებს.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს.

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

/გიორგი ბახსოლიანი/

მთავარი ბუღალტერი

/კობა ქაფიანიძე/

6. სოციალური პროექტები:

6.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ უკანასკნელ სამ წელიწადში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 13 %-ით გაიზარდა, რაც თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მაჩვენებლების დასახელება	2017 წ	2016 წ
დასაქმებულთა საშ. წლიური საერთო რაოდენობა	112	99
მ.შ. ქალები	13	14

კომპანია ასევე პერიოდულად ეხმარება სხვა და სხვა საქველმოქმედო ფონდებს.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 დეკემბერს.

შპს-ის „ინსტა“

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/გიორგი ბახსოლიანი/

/კობა ქაფიანიძე/

შპს „ინსტა“ (საიდენტიფიკაციო N202057264)

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ინსტა“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია დიდუბის სასამართლოში 1998 წლის 09 თებერვალს, რეგისტრაციის №2/4-1587.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

F. 43.21.0 ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები;

G. 47.54.0 საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში;

– სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.2. საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშგაღებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

– საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

- საპროექტო სამსახური
- პროექტების მართვის სამსახური
- სუსტი დენების განყოფილება
- მართვის სისტემების განყოფილება
- გაყიდვების განყოფილება
- ლოჯისტიკის და შესყიდვების განყოფილება
- ელ. ფარების საწარმო
- უსაფრთხოების და ხარისხის განყოფილებები
- საფინანსო განყოფილება

2. მნიშვნელოვანი მოვლენები:

2.1. საანგარიშგებო პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა არ დაფიქსირებულა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

3.1. საწარმოს მიერ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ძალაში შევიდა 2016 წლის ივნისში, ამდენად, წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება წარდგენილი არ ყოფილა;

3.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

3.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;

3.4. საწარმოს წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც შპს „ინსტა“ იყენებდა მსს ფასს-ზე გადასვლამდე, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებულია 2017 წლის 01 იანვრიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით მსს საწარმოთა სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა და ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან, საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა.

3.6. საწარმოს მიერ, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონისა და „სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის, მესამე კატეგორიის საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების, ანგარიშგების პორტალის სტრუქტურისა და მომხმარებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის №6-15 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

3.7. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაღარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2016 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.

3.8. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

3.9. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №1);
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №2);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №3);
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №4);
- განმარტებით შენიშვნებს.

3.10. საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა გამიჯნულად, პირდაპირი მეთოდით;

3.11. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

3.12. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, საწარმო იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ბარტერიითა და უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აისახა ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით;

3.13. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა. აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება ასახული არ არის;

3.14. მატერიალური მარაგები, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, აღირიცხება უწყვეტი მეთოდით, ხოლო მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულია „საშუალო შეწონილი“ მოდელი.

3.15. საანგარიშო და საანგარიშოს წინა პერიოდი საწარმომ მოგებით დაასრულა. გაუნაწილებელი მოგებიდან 01.01.2016 წლისათვის ნაშთად ირიცხებოდა 12165736,79 ლარი. დივიდენდი საანგარიშო პერიოდში დარიცხული იქნა 1 200 000 ლარი და გაცემულია 1073684,22 ლარი;

3.17. საწარმოს საავტორო უფლებები და სამარკო ნიშანი არ გააჩნია; არამატერიალურ აქტივებად აღიარებულია შეძენილი სააღრიცხვო პროგრამები და ლიცენზიები, რომელთა ამორტიზაციაც გამოყენების ვადის მიხედვით აღირიცხება;

3.18. გახარჯული დამხმარე მასალები, რომელთა ხარჯვის ნორმის საიმედოდ დადგენა ვერ ხერხდება, ჩამოიწერება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად.

3.19. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი გადამზიდ და მომსახურე ავტომობილებზე ჩამოიწერება ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით, ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

3.20. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

3.21. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

3.22. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

3.23. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

3.24. კაპიტალში პარტნიორთა შენატანი 2000 (ორიათასი) ლარს შეადგენს. დამატებითი შენატანი საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა.

3.25 კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული მოგების ხარჯზე, 5841983,62 (ხუთიმილიონრვაასორმოცდაერთიათასცხრაასოთხმოცდასამი ლარი და 62 თეთრი) ლარით და შემცირდა განაწილებული დივიდენდით 1 200 000 (მილიონორასიათასი) ლარით;

3.26. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2018 წლის 15 დეკემბერს;

3.29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

4. განმარტებითი შენიშვნები ანგარიშგებაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ

4.1. ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ შედგენილია მსს ფასს-ის მე-2, მე-4 და მე-11 განყოფილებების შესაბამისად;

4.2. ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით:

4.2.1. სასესხო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში ასახულია რეალური ღირებულებით, მიღებული სესხის თანხით, ხოლო უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხები ასახულია რეალური ღირებულებით, საკურსო სხვაობის შედეგების მოგება-ზარალში ასახვით;

4.3. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ხელშეკრულებით გაცემული აქვს სხვა კომპანიაზე სესხი 166279,07 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში - 450 000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი 12-ს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდში დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 3152,2 ევრო შეადგინა (8950,04 ლარი).

აღნიშნული სასესხო და საპროცენტო მოთხოვნა, საანგარიშო პერიოდში რეალიზებული იქნა უცხოური კომპანიის წარმომადგენლობაზე აქტივის ნომინალური ღირებულებით.

4.4. მიღებული სესხები:

4.4.1. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, საწარმოს სესხების სახით დავალიანება არ ერიცხებოდა.

პერიოდის განმავლობაში ბანკებიდან მიღებულია 1 550 000 ლარი და 841 000 ევრო (2 358 966 ლარი). პერიოდის განმავლობაში დაფარულია 1 550 000 ლარი და ასევე 841 000 ევრო (2 392 559,74 ლარი) პერიოდის ბოლოსათვის ნაშთი განუღდა.

არასაფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები არ ფიქსირდება.

- საბრუნავი სახსრების შესავსებად, საზოგადოებას საქართველოს ბანკებისაგან მიღებული ჰქონდა სამი მოკლევადიანი სესხი. კერძოდ:

- 1) ს.ს.-სგან „საქართველოს ბანკი“ საანგარიშგებო პერიოდში მიღებული იქნა 841 000 ევრო (2 358 966 ლარი). სესხის ანგარიშზე პერიოდის დასაწყისისათვის ნაშთი – 0 ევროს შეადგენდა. ამავე პერიოდში დაფარული იქნა სესხის თანხა - 841 000 ევრო (2 392 559.74 ლარი). ვალუტის საკურსო სხვაობით მიღებული იქნა ზარალი, თანხით 33 593,74 ლარი. კრედიტი მიღებული იყო წლიური საპროცენტო განაკვეთით 6 %.
- 2) ს.ს.-სგან „საქართველოს ბანკი“ საანგარიშგებო პერიოდში მიღებული იქნა 800 000 ლარი. სესხის ანგარიშზე პერიოდის დასაწყისისათვის ნაშთი – 0 ლარს შეადგენდა. ამავე პერიოდში დაფარული იქნა სესხის თანხა 800 000 ლარი. კრედიტი მიღებული იყო წლიური საპროცენტო განაკვეთით 11,5 %.
- 3) ს.ს.-სგან „ბანკი რესპუბლიკა“ საანგარიშგებო პერიოდში მიღებული იქნა 750 000 ლარი. სესხის ანგარიშზე პერიოდის დასაწყისისათვის ნაშთი – 0 ლარს შეადგენდა. ამავე პერიოდში დაფარული იქნა სესხის თანხა 750 000 ლარი. კრედიტი მიღებული იყო წლიური საპროცენტო განაკვეთით 13 %.

4.4.2. ბანკის კრედიტებზე სესხის პროცენტის სახით დარიცხული და იმავდროულად გადახდილია –29116,93 ლარი. მათ შორის:

- 1) ს.ს.-სგან „საქართველოს ბანკი“ საანგარიშგებო პერიოდში 841 000 ევროს ოდენობით მიღებულ მოკლევადიან სესხზე, წლიური 6%-იანი განაკვეთით დარიცხული და იმავდროულად გადახდილია სესხის პროცენტი 6264,27 ევროს (18650.11 ლარი) ოდენობით;
- 2) ს.ს.-სგან „საქართველოს ბანკი“ საანგარიშგებო პერიოდში 800 000 ლარის ოდენობით მიღებულ მოკლევადიან სესხზე, წლიური 11,5%-იანი განაკვეთით დარიცხული და იმავდროულად გადახდილია სესხის პროცენტი 4237,67 ლარის ოდენობით;
- 3) ს.ს.-სგან „ბანკი რესპუბლიკა“ საანგარიშგებო პერიოდში 750 000 ლარის ოდენობით მიღებულ მოკლევადიან სესხზე, წლიური 11,5%-იანი განაკვეთით დარიცხული და იმავდროულად გადახდილია სესხის პროცენტი 6229,15 ლარის ოდენობით;

4.5. მარაგების აღრიცხვისათვის გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საწარმო იყენებს თვითღირებულების განსაზღვრის „საშუალო შეწონილ“ მეთოდს;

4.6. სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების მარაგები შესყიდვისთანავე აღიარდება ხარჯად;

4.7. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს მსს ფასს-ის მე-17 გნყოფილების შესაბამისად. ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი, ხოლო უსასყიდლოდ მიღებული აქტივები რეალური ღირებულებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები ასახულია ნარჩენი ღირებულებით. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა;

4.8. საწარმოს რეორგანიზაცია საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა;

4.9. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოში აღრიცხულია ფინანსური იჯარა.

სს-სთან „თიბისი ლიზინგი“ (205016560) ლიზინგის საგანზე – მსუბუქი ავტომანქანა. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში დარიცხული ვალდებულების ნაშთი 36 371.79 აშშ დოლარს (96 268.86 ლარი) შეადგენდა. ამავე პერიოდში სრულად იქნა დაფარული ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე - 36 371.79 აშშ დოლარი (92 389.91 ლარი). კურსთა შორის სხვაობიდან შემოსავალმა 3 878.95 ლარი შეადგინა.

5. საწარმოს საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

5.1. ანგარიშგება საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №2-ის სახით;

5.2. საოპერაციო შემოსავლები და რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია აგრეგირებული სახით, ხოლო ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები მუხლობრივად ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;

5.3. არასაოპერაციო შემოსავლები, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან, მოცემულია განცალკევებულად;

5.4. საწარმო მოგების გადასახდით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;

6. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

6.1. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №3-ის სახით;

6.2. ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში მომხდარ ცვლილებებს, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასაღებს;

- საოპერაციო საქმიანობიდან;
- საინვესტიციო საქმიანობიდან;
- საფინანსო საქმიანობიდან;

6.3. მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია: მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები;

6.4. ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები, ძირითადი საშუალებების (მათ შორის, საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების), არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები და კაპიტალიზებადი ხარჯებისათვის გადახდილი თანხები.

6.5. საანგარიშგებო პერიოდში სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად ფულადი სახსრები გადახდილი არ არის, სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის გაყიდვიდან ფულადი სახსრები მიღებული არ არის;

6.6. ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია: სესხის გაცემიდან მიღებული ფულადი სახსრები, მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი, ფინანსურ იჯარასა და დივიდენდის დაფარვაზე გაცემული ფულადი სახსრები.

სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის განმარტებით შენიშვნებში.

6.7. სავალო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები, ობლიგაციები საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებული არ ყოფილა.

6.8. მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულისთვის არსებული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები;

7. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

7.1. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №4-ის სახით;

7.2. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის მოგება, სრული შემოსავალი, საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა და შეცდომების გასწორების შედეგები.

7.3. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მესაკუთრის (პარტნიორის) მიერ საწარმოს კაპიტალში დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა.

7.4. საანგარიშგებოს წინა და საანგარიშგებო პერიოდებში ეროვნული ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება ასახულია ანგარიშგებაში.

შ.პ.ს-ს „ს.ბ. ფინანსსერვისი“

სერტიფიცირებული აუდიტორი

(სერტიფიკატი №5/332; სარეგისტრაციო N SARAS-A-261871)

/ბექა ჯაყელი/

სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის განმარტებით შენიშვნებში.

6.7. სავალო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები, ობლიგაციები საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებული არ ყოფილა.

6.8. მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულისთვის არსებული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები;

7. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

7.1. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №4-ის სახით;

7.2. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის მოგება, სრული შემოსავალი, საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა და შეცდომების გასწორების შედეგები.

7.3. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მესაკუთრის (პარტნიორის) მიერ საწარმოს კაპიტალში დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა.

7.4. საანგარიშგებოს წინა და საანგარიშგებო პერიოდებში ეროვნული ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება ასახულია ანგარიშგებაში.

შ.პ.ს-ს „ს.ბ. ფინანსსერვისი“

სერტიფიცირებული აუდიტორი

(სერტიფიკატი №5/332; სარეგისტრაციო N SARAS-A-261871)


/ზეპა ჯაყელი/